მარიამი ჩანქსელიანი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

SNSPA, ბუქარესტი, რუმინეთი

,,არავის გაუკვირდება თუ ვიტყვი, რომ გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ წასვლაზე არაერთხელ მიფიქრია და მიოცნებია.

მესამე კურსზე ყოფნისას, ჩემმა ლექტორმა მირჩია რომ მეცადა უმოკლეს დროში ყველა პროცესის მოგვარება და გამერისკა. დიდი მოტივაცია მომცა მისმა გვერდში დგომამ და მე ეს შევძელი.

საზღვარგარეთ ცხოვრებისას უდიდესი გამოცდილება მივიღე. გავეცანი ევროპის ცენტრალური და აღმოსავლეთის ქვეყნებში ახალგაზრდების ცხოვრების სტილს: რას აფასებენ, რა პრობლემები აქვთ და რამდენად არიან ჩართულნი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

5 თვის განმავლობაში არაერთი სირთულის დაძლევა მარტო გიწევს, რადგან ხვდები, რომ იქ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი შეიძლება გქონდეს და თვითგადარჩენის ინსტინქტის ამარა შენში ისეთ ძალას აღმოაჩენ, რომლის არსებობის შესახებარაფერი იცოდი. ერასმუსის მთავარი ხიბლიც სწორედ ამაშია-აქამდე არსებული შესაძლებლობების ზღვარს აქრობს და სრულიად ახალ ჰორიზონტს შლის, ხელახლა დაბადების საშუალებას გაძლევს.ამ გამოცდილების შემდეგ კი ყველაფრის გადაფასებას და სხვანაირად აღქმას იწყებ, ბედნიერი მომენტების დაფასებას, სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისას თავგადასავლების, სახალისო ისტორიების შეგროვებას, უმოკლეს დროში შეძენილი მეგობრებისთვის ყველაფრის გაზიარებას.

საერთო ჯამში, ვფიქრობ, გაცვლითი პროგრამით იმდენად დიდი გამოცდილების, ცოდნის მიღებაა შესაძლებელი, შეუძლებელია შემდეგ შენი ქვეყნისთვის არ გამოიყენო და მეტად არ დააფასო. ამ პროგრამის შემდეგ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო ევროპის და ევროკავშირის ორგანული ნაწილია.’’